ხოლო მოკუდა მეფის გიორგის ქა-ბაგრატ და დედოფალი ჩედა მისი რესულანი ქს. ჩვეოც, ქ. სხვ, ამასგვე ქორონიერნის მოკუდა კათალიკოზი ევდემთს. ამასგვე წელსა გამოვიდა ლალა-ზაშა წარმოავლინა სპანი იმერეთსა ზედა დაპურობად: ამათ შემოვლეს ქართული. ამისი მცნობი გიორგი მეფე წარვიდა სპითა მოსწრავედ და შეუქრა მთა ლიხისა და მოვილენს ასმალნიცა, დაუწეს ბრძოლა იმერთა სიმაგრით-გამო და მოსრვიდენ მრავალთა ასმალთა: შემდგომად იძლივენს ასმალნი და მოსწრებულიან იმერნი, აღიდეს ალავი დიდი და მოვიდა გამარჯვებული მეფე გიორგი ქუთათისს: ხოლო დადიანი გიორგი უდონო-ქმნილი, ევედრა გიორგი მეფესა, რათა მწერექმნას მას, აღუთქვა მეფე-მან და აუწეს გურიელსა.. მაშინ გურიელ-მან მოუთხრა მეფესა: „ვითარცა განუტემჲ და მისი და მივეც სისხლი, ეგრეთვე მანცა განუტევა და ჩემი, მომცეს ნასისხლი ჩემი და მე დავარწმუნო მამიას და ვუოთ იგივე დადიანადვე:“ ხოლო ესე მიუთხრა უოგელი მეფე-მან გიორგი დადიანსა და დადიან-მან უოველ-ნი აღუთქა. არამედ სთხოვა მეფესა ცოლის და თვისი, რომელსა ზოდიდა მეფე, რათა მისცეს ცოლად და მით იქმნეს სარწმუნოდ: ხოლო უეტე არა რით დაერწმუნოს უოტად, ამისა. ამისათვის მისცა მეფე-მან ცოლის და თვისი გიორგი დადიანსა და თქოთ იგი ნასისხლი დადიან-მან უკუნ-სცა გურიელსა. და ვინად-გან მწირობდა. და-დიანი და არა აქვნდა ეგოდენი, მის-თვის მისცა ხოთი. ვიდრე ამოვის დეს ფასი თქოთსა მის: მერმე ზავუჟევეს მეფე-მან და გურიელ-მან მიათა შორის, მოიუვანეს გიორგი და დასვეს დადიანადვე: ხოლო მას მიას მისცეს ჭილაძისა და რევზის მამაულნი და იქმნა ამითი სამთავშე შორის შევიდობა: არამედ შემდგომად ამისა მოიხსენა: შური ბათულია-მ. ბიძა-მან დადიანისა-მან, შემოიკინისა საჯავახო, რამეთე მას ეუყრა იგი და მოიბირნა ვინამენიცა მეგრელი; წარვიდა, რათა თავსა-

დასისმით დალატად მოჰქელას გიორგი დადიანი, აგრძა ესე გიორგი დადიან-მან და შემთიკრიბა სპანი. ესე უთხრეს ბათულიას, უგრიკუა და მოვიდა საფაგასთხავე: ამის-თჯს ესე აუწეა შეფეხს დადიან-მან და ქმა-მან მის-მან მამია-მ: ხოლო მეფე-მან გურიელს მიუთხოა, რათა მოჰქელას ბათულია ამის-წილ და დაიპურას თვით საფაგასთხ. ორთავე ნებითა: განისარა გურიელ-მან, შეიპურა ზაგვით ბათულია. არამედ თვით არა მოაკედინა და პატიმარჟულ აზურგეთს და დაიპურა საფაგასთ თვისად: მერმე კვალედ მოუთხრეს მეფე-მან და დადიან-მან გურიელს მოჰქელეა ბათულიასი: ხოლო გურიელ-მან არა მოჰქელა თვით. არამედ მისცა შათ ნება და ამთა წარავლინეს გაცი და მოაშოვეს ბათულია და იქმნებოდა ესრეთ მშვიდობა.

ხოლო რაფაშს მოსლევას დალატა-ფაშისას მოსრნა გიორგი მეფე-მან თისაღთა სპანი და მერმე ქართველთა, მოვიდა აწ სისან-ფაშა ქართლსა ზედა: ამან ფაშა-მან ჭირნა კვალედ შეელა ქართველთა გიორგი მეფე-მა-გან: ამის-თჯს წარმოავლინა ათაბაგი უგარეგარე ქს: ჩფება, ქრ. სმთ გიორგი მეფე-მა-თანა: რათა ემტერთს. სვიმონ მეფე-შესა და ქართლსა: მაშინ განზრახვითა. ათაბაგისათა შემთიკრიბა გიორგი მეფე-მან სპანი და მოიუგანა დადიანი გურიელიცა სპითა მათიათა, ვისად-გან აქვნდათ ერთობა და ბრძანებულიცა იუთ ხოსტქარისა, მიუხდნენ შილა-ქართლს, ვერა სადა ჭირებნენ სიზანი. და დაწერენ სრულიად გაღმა-გამორილისი. მერმე უკუმოიკცნენ და მოვიდნენ უგრიდ: ამისა შემდგომად მოჰქელა დადიანი გიორგი ქს. ჩფება, ქრ. სო და-დავდა ქმა მისი მამია დადიანად: არამედ გურიელ გიორგი კვალედ არა დასცხა შურ-გებად გიორგი დადიანისად, მოიმარა ქე გიორგი დადიანის მცირე ლეგან და პატიმარჟულ ციხესა. შინა შეეფისას; განზრახვითა მამია დადიანისათა ხოლო ურმა იგი. უთმინებითა ტუვეობისათა გარდმოიქრა ციხილამ, რეცა განლორელებად და მოჰქელა: არამედ ესე მიზეზი ჭულ დადიან-მან მამია-მ გურიელს ზედა, შემთიკრიბა სპანი და მოვიდა გურიას: ამას ეკვეთა გიორგი გურიელიცა და ბრძოლასა იძლია გურიელი და ივლტოდა სტამბოლს: მაშინ დადიან-მან მოიუგანა ტოში გურიელთა ვახტანგ და დასვა გურიელად ქს. ჩფება, ქრ. სოა: ამასვე ქორნიკონს შეიპურა მეფე-მან

გიორგი მშა თვეის კასტანტინე ძით მისით ოცნებით, ვინაღან  
ლევან ქ გიორგი მეფისა შცირე იუც, რათა არა მცილე ექმნეს მე-  
ფისა და ჰუც პატიმრად. არამედ მოქმედთა ესე ვითარებათათა გარ-  
ნა აქვნდათ მშვიდობაცა ჟამად: შემდგომად მოგუდა მეფე გიორგი  
ქ. ჩფშ: ქრ. სოგ.

იგ, შეუე ლევან, ე წელი ჰელი ჰელი.

დაჯდა ქ გიორგი მეფისა ლევან მეფედ და ეპურთხა ქუთა-  
თისს. ხოლო ბიძა მისი კასტანტინე თავისუფლადიქმნა ძით თვი-  
სით და დაიპურა მან რიონისა აღმისავლეთისა გერძნი, რამეთუ  
ლევან ურმა იუც წლისა იბ: შემდგომად წელისა ქ. ჩფშ, ქრ. სოდ  
მთივევანა ლევან მეფე-მან ცოლად დამ მამია დადიანისა და ასული ლევა-  
ნისა მარეს და ჰუც ქორწილი შემსგავსებული: გვალად წელისა ქ.  
ჩფშ, ქრ. სოე ნააღდეგომევს გაილაშქრა ლევან მეფე-მან ბიძისა  
თვისსა კასტანტინესა ზედა: ვერ წინა აღუდგა კასტანტინე და ლე-  
ვან მიუხვნა ციხენი. სკანდა, კაცი და სრულიად არგვეთი: შემდგომად  
ზაფხულ მის-თანა და მისცა საუფლის-წულონი და იუციებდა მის-  
თანა: ამავ წელს მოგვდა გურიელი ვახტანგ, მოგიდა დაჯდა გიორგივე  
გურიელად შეწებითა ლსმალთათა, რამეთუ მთსრულ იუც სტამბოლი-  
დამ და იუცოდა გონიას: ხოლო უამთავე პირველთა განალიერდა  
შეუე სვიმონ და მოიხსენა შერი გიორგი მეფისა, ეზრასა იმერთა  
შეუე სვიმონ, რამეთუ მომევდარ იუც ბიძაცა მეფისა ლევანისა კას-  
ტანტინე და ვინაღ-გმ იუც ლევან ურმა. ამის-თვის ვაეთთამე იმერთა  
მისცეს სვიმონს პირი მტკიცე: მაშინ წარმოქმართა მეუე სვიმონ  
სპითა თვისითა იმერეთასა ზედა: ამის-მან მცნობ-მან შეუე-მან ლევან  
შემთიკრიბნა სპანი იმერთა, მოუწიდა მამია დადიანისა და გიორგი  
გურიელისა: არამედ მათ არა ინებეს მთსლევა, ვინაღან შურობდენ  
ურთაერთისა: ხოლო ლევან მეფე ლადგა გოთახთას სპითა თვისითა:  
გარდომეულ სვიმონ ლისის მთა და მიერთნენ ზემოურნი რამელნი-  
მე, მერმე მოგიდა გოთახთას სვიმონ, ეპგეთა ლევან და იქმნა ბრძა-  
ლა ძლიერი ქ. ჩფშ, ქრ. სოე, იძლია ლევან მეფე და ივლტოდა

ლექსუმს: ხოლო სკიმონ მეფე-მან დაიბერა იმერეთი, გამოუხვნა  
მძევალნა იმერთა, წარიყვანა იგინი და წარგილა; შემდგომად მოვიდა  
ლევან მეფე და დაიბერა იმერეთი და მტრეთბდა დადიანსა. ვინადა  
გან არა მწერეთ სკიმონსა ზედა: არამედ განძლიერდა მეფესა და  
დადიანსა შორის მტრეთბდა დაიბერად, შეიკიბა ამის-თუ დადიან-მან.  
მამიან სპანი თვისმი და მოვიდა ქუთათისს, ამას ეკვეთა მეფე ლევან  
სპითა იმერთათა და ძლიერისა ბრძოლისა სტლო დადიან-მან და შე-  
ინურა მეფე ლევან ქ. ჩივა, ქ. სოჭ, წარიყვანა თდიშ და პატი-  
მარ-ჟურ ციხესა შინა შეეთხა და მოგეძლა შემდგომად მეფე ლევან პა-  
ტიმორიასა შინა შეეთხ ციხესა შინა.

იდ, მეფე ოსტომ, იე წელი მეფე.

ხოლო იმერთა მოიყვანეს ძე ქასტანტინესი ძისა ბაგრატ მეფია-  
სა რესტომ და დასვეს შეიგე. არამედ ამან რესტომ ვერა მტრიცედ:  
დაიბერა მეფობა: ამასვე ქორონიკონს მოკუდა მამია დადიან და დაჯ-  
და ძმა მისი მანებას დადიანი: ესე მანებას ეზრასა და ემზახდა  
კას-ბატონს ალექსანდრეს და მოიყვანა ასული შისი ნესტან-დარევან,  
შშითვითა დიდითა ცოლად და იქთოწინა მის-თანა: არამედ ამავ ქო-  
რონიკონს ისაულა გრეთილ-მან გირგი-მ საქმე რესტომისა, შეიკიბა.  
სპანი, მოვიდა და მოიყვანა ბაგრატ ქ-ოემურაზისა ვაკრანგის ძისა,  
ვერ წინა-დაუდგა რესტომ, წარუხვნა ქუთათისი და მისცა ბაგრატს,  
განემაგრა ციხე ქუთათისი და მოუდგინა ძე თვისი მამია ბაგრატს  
და თვით მივიდა საჩინოს, მოიყვანესა ასმალთა სპანი, განსდევნა ჩი-  
ჭავაძე, აღილო ციხე სებეგა, შემუსინა იგი და მუნ დახვა სხვა ჩიჭა-  
ვაძე და მიიქცა გურიასვე: ამასვე ქორონიკონსა გვალად მოვიდა სვი-  
მონ მეფე და მიერთვნენ იშერნი, მოადგა ქუთამისს, აღილო დმ  
გამოიყვანესა ბაგრატ და მას შინა შეაუნია გუმაგნი თვისმი და დამ-  
ძევდნა კვალად იმერეთი და წარვიდა ქართლს: ხოლო რესტომ ამათ  
ვითარებათა მსილველი და თვით ვერა-რა რის მეოთელი წარვიდა მანე-  
ბას დადიანის-თანა და ეგედრა მას შეწევნასა: მაშინ დადიან-მან შეი-  
კიბნა სპანი, მოვიდა, აღილო ქუთათისი და დაიბერა იმერეთი. რეს-

ტომ: ესმა ესე სვიმონ მეფესა, გამოილაშერა ძალითა დიდითა, ზარუბაზნებითა და აღვაზმულობითა სპათათა, გარდმოვლო ფიხი და მრეკონენ კვალად იმერნი: ამის-თჯს ვერ წინააღმდეგა რცსტომი და იყლორდა თდიშვე: ხოლო სვიმონ მეფე-მან აღილო ციხენი. სკანდი, კვარა, კაცი, სევრი, შეუენნა თვისნი და მოადგა ქუთათისს, ალილო იგიცა. არამედ რა სცნა მეფე-მან სვიმონ წასვლა რცსტომის თდიშვე წარიდა მის ზედა, რათა შეიძურას ოგი და დაბიურას იმერეთი მკვიდარად, ვანადგან. არდარა-ვინ იუ ტომი მათი. თვინიერ რცსტომისა და მივიდა თვიშვებითს: მაშინ დადიან-მან მოუვლინა მეტუველ-მან: ბევიმონე რცნივე და მიეც რცსტომის იმერეთი და გივვნეთ მორჩილ შენდა საუკუნოდ; “ არამედ სვიმონ მეფე-მან მრავალ-გზის განმარჯვებულობისა-თჯს იაშპარტავნა მეგრელთა-გან წინააღმდეგომა და შერის-ხეით მიუგო: ” გნებავს მომეც რცსტომი და დაგიცვა ქეუენა შენი უვნოდ, უპეთუ არა, მოვიდე და თუმცა ძალა-გიცს დამსედი ბრძოლა-ლად: “ ამისსა მსმენელსა დადიანს შეუძლა სიამაუე ესე, შემოიკინა: სპანი და რცსტომი მისთანა, რათდენითამე იმერელითა დაესსა გარეულა-ეს სვიმონ მეფესა, იძლია შეფე სვიმონ და იყლორდა ქართლი: ხოლო დადიან-მან აღილო ალავი დიდი და ზარბაზნები წარილო თდიშვე. მთიუგანა რცსტომი და აკურთხეს ქუთათისს მეფედ. აღილეს ქუთათისი და უოველნი ციხენი იმერეთისანი და დაბიურა რცსტომი სრულიად იმერეთი ქს. ჩოჭ, ქრ. სოჭ: არამედ შემდგომად ზაფა ჟევეს რცსტომი მეფე-მან და სვიმონ მეფე-მან, მისცა ტევენი და მეციხენენია უოველნი სვიმონს. ხოლო მძევალი იმერეთისანი უკმისა და სვიმონ მეფე-მან და მეუზობდა ესე რცსტომი შშვიდობით, რამეთუ დადიანი აქენდა მწედ.

შემდგომად მთებდნენ აფხაზნი გურიას ნავებითა: ამათ ეპევთა გურიელის ქე მამია, სძლო და მოსწოდონა სრულიად ქს. ჩოჭა, ქრ: სოთ: ამასვე ქრონიკნის უშვა ნესტა-დარევან დადიანს. მანუჩარს წული ლევან. არამედ მთაბასავე მოკვდა ნესტა-დარევან: ხოლო მანუჩარ დადიან-მან შემდგომად გლოვისა მთიუგანა ცოლად ქურივი გახტანგ გურიელისა და ასული ათაბაგისა და იქთოწინა მის-თანა: ხოლო შემთვარებულ ამისა მთიუგანა ათაბაგის ქალი თინათინ დედოფლად კოს-

ტანტინე მეფე-მან ქს. ჩოუშ, ქრ. სპე და იქთოწინა: ამასგვე ქორთუ-  
ნიკს მოითხოვა პაპა-მან მის-მან ალექსანდრე-მ კასპარიონ-მან აღ-  
საზრდელად მანუსა დადიანისა-გან ქ მისი ლევან. ამან მანუსა რ  
წარუვლინა და ზრდიდა იგი მას: ხოლო შემდგომად მოკუდა გურიე-  
ლი გიორგი ქს. ჩქ, ქრ. სპე და დაჯდა ქ მისი მამია გურიელად  
და იუო შევიდობა სამთა ამათ შორის შეფისა, დადიანისა და გური-  
ელისა-თანა და მეფობდა ქსრეთ როსტომ. არამედ შემდგომად იხილა-  
რა დადიან-მან მანუსა კახეთს დავითისა-გან საქმე იგი, მოითხოვა-  
ქ თვისი ლევან ალექსანდრესა-გან, ამან წარმოუვლინა და მოკუდა-  
მამისა-თანა ლევან, ქს. ჩქდ, ქრ. სდგ: მაშინ იუო ლევან წლისა-  
იგ და განიხარა მანუსა ხილვითა მისითა: შემდგომად მოკუდა მეფე  
როსტომ ქს. ჩქე, ქრ. სუგ.

იე, მეფე გიორგი გ, წელი ჰმეფა.

ხოლო გინად-გან არღარა-გინ იუო ტომი მეფეთა, მოიუგანეს;  
ამა როსტომ მეფისა ნაშობი მხევლისა-გან გიორგი, დაშვეს მეფედ  
და აკურთხეს ქუთათის და მეფობდა ქსე მშვიდობით ჟამ-რაოდენმე:  
არამედ ჟამებთა ამათ შინა, გითარცა ვიზილავთ იქმისა განტევება ცოლ-  
თა, კლება კაცთა და იღუმალ ტეფის-უიდგა და უჯეროსი სჯულსა ზე-  
მრავალნი იმერეთსა შინა, ამის-თუ შეგრძენ ქართლისა კათალიკოზი.  
მალაქია, აფხაზთა კათალიკოზი ევდემოს და უოველი ეპისკოპოსი.  
იმერთ-ოდიშისნი: ხოლო ეპისკოპოსი ესენი იუშნენ.. ქუთათელი.  
სვიმონ, გენათელი ანტონი, ჭეოსდიდელი, ბელიელი, მოქველი, ღრან-  
დელი ფილიპე, ცაგორელი კაზამან, ხოხელი ზაქარია, ნიკორ-წმიდე-  
ლი იოაკიმ, ჩაისელი კირილე: ამათ გმახინეს მოქმედთა მათთა-თვის-  
ჯეროვანი შერისხვანი, დასწერნენს და შეაჩვენენ მოქმედნი მისნი,  
ვითარცა გვაუწევებს აღწერილი მათი.

ხოლო შემთიკობა მამია გურიელ-მან სპანი, შევიდა სჭარას,  
მასწევიტნა ოსმალი და დაბურა კვალად თვითვე აჭარა ქს. ჩქო, ქრ.  
სუგ: შემდგომად მოკუდა დედოფლი თინათინ, ასელი ათაბაგი-  
სა ქს. ჩქი ქრ. სუგ: შემდგომად ამისა ნადირობასა შინა ხორ-მან

ირმისა-მან წარიტაცა დადიანი მანუჩარ და მოჭელა იგი ქს. ჩქია ქრ. სუთ და დასვეს ქე მისი ლექან დადიანად ნაშრობი კახ-ბატონის ასუ-ლისა: შემდგომად ამისა მოვიღენ ლურსაბ და თეიშურაზ მეფენი შააბაზისა-გან ლტოლვილნი ქს. ჩქი ქ. ტბ, ისტუმრა კეთილად გიორგი მეფე-მან დღითა პატივითა ქუთათის: ამათ-თჯს შააბაზის წარმოქედლინა დესპანი, რათა მისცეს მას მეფენი და უკეთე არა მოვიდეს სპითა ჩარუხ დაჭრადითა და მოსპოს ქვეყანა მისი: მაშინ გიორგი მეფე-მან ჰყითსა: „რამ ას ჩარუხ დაჭრადითა:“ მიუთხრეს კოსუნჯი და წალდი: მიუგო დესპანსა: „ვგონებდი. შეშინებასა სარმუზოსანითა. გარნა კოსუნჯი და წალდი აქესთ მრავლად ჩემთა მარგველათაცა:“ ხოლო იუნენ წინაშე გიორგი მეფესა დადიანი ლე-კან და გურიული მიმია მოწოდებულისით მიმწერად შემის-თჯს პასუხთა შააბაზისათა: ამათ განიზრახეს და წარავლინეს გათალივაზი ქი ქართლი-სა მალაქია და აბაშიძე შაარა ვედრებით, რათა მისცეს თრთავე მეფე-თა მეგილონი თვისნი და ეგრეთ დაიმორჩილოს; ხოლო შააბაზ მოაქ-ცივნა იგინი დიდითა პატივითა და ნიჭითა<sup>1)</sup>: არამედ დუარსაბ მეფე-მან არა ისმინა გიორგი მეფესა და წარვიდა წინაშე შააბაზისა: ხოლო შემდგომად შააბაზისა წარსელისა სპარსეთსე შიძვიეს ბატონი თეი-მერაზ ქახთა. შემოიკრიბნა მეფე-მან გიორგი სპანი დადიან-გურიე-ლირთ და მიშება არაგვაშდე თეიმურაზს, რათა არა რამ ევნის ქართ-ველთა-გან: მერმე უკმოიქცა და მოვიდა ქუთათის; შემდგომად ბეჭ-ლად მოვიდა ბატონი თეიმურაზს. ლტოლვილი შააბაზისა-გან: ამ უამ-თა იქმისა სიყმილი დიდი იმერქის შინა. ხოლო მეფე-მან გიორგი-მ შეირსხნა რამესამე ზედა წულუკიძეს შაარას და მიუხენა მამულინ და შაარა წარვიდა ლევან დადიანისა-თანა: რამეთუ ესე ლევან იურ ბორჯ-ცი, ხვანჯიანი, ამაუი, მზაკვარი და ქვირის-მომჩესენე და იმარჯვილა.

<sup>1)</sup> იტყვიან, რამეთუ ისხლენ მეფენი ერთად, მაშინ გიორგი მეფე-მან მოიხადა ქუდი და შემოილვა ფერხი მუხლსა ზედა: ესე იუკალრისა მეფე-მან ლურსაბ და შეირაცხა უპატიოდ და არა-არად შერაცხვა და იტყოდათ. „რა იყი ნებავს მტერსა ჰყოს, ხოლო უმცირესისა ჩემისა-გან არა დავითმინო.“ და არა-არა უხმისა გიორგი მეფესა და წარვიდა, ვითარ შწყრალი.

ჟამთა: არამედ ამან პაატაშ (რომელსა უხმობდნენ წერვად უძლურებისათვის, თაშეთუ იუო კუტი) უმეტესად შთაუდვა ლეგანს მტრობა გიორგი მეფისა და მარადის განუზრახვიდა.

ხოლო გიორგი მეფე-მან მოკვარა ქესა თვისისა ალექსანდრეს ცოლად ასული გურიელისა და აქორწინა იგი ქს. ჩქარიშვილი, ქრ. ტე: უმდგომად უშვა ალექსანდრეს ქე ბაგრატი. არამედ უმდგომად თრისა წლისა შესწავა ალექსანდრეს ცოლსა თვისისა, რეცა სისვად ქუთათლის გაჭრისათვა და განუტევა ცოლი თვისი და წარავლისა ძირ თვისით ბაგრატით მამისა მისისა გურიელის მამიას-თანა: ესე შეუძნებელ გურიელს და ექრახა დადიანი ლეგანს და მოთხოვა დამ მისი მარიაშ ნაშიბი ათაბაგის ქალის-გან ძისა თვისისა სვიმონის-თვის: ხოლო ლეგანს, ვისად-გან აქნდა მანკიერება და იმარჯვიდა საქმეთა და ლაშეგობრებიდა აფხაზთა, ვიქთა და სვანთა, რათა უწერეონ, განიხარა მტრობა გურიელისა და მეფისა და მისცა დამ თვისი სვიმონს ქესა გურიელისასა და ქმნა ჟორწილი სვიმონ ქს. ჩქარიშვილი, ქრ. ტი. შეუძნებელ მეფესა გიორგის შეერთება დადიან-გურიელისა, დაუწეულ მტრობა: უმდგომად უმომიერიბა სპასი თვისი გიორგი მეფე და განვიდა და დასდგა გრძელობრისა ზედა: მოვიდა ლეგან და დადინიცა სპითა დადიშარა-ზაზიქითა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწერენ მრავალნი ქს. ჩქარიშვილი, ქრ. ტიმ, იძღა მეფე გიორგი და იყლოტდა: მაშინ დადიან-მან შეიძყონა მრავალნი წარჩინებული და მდაბიური, ადიღო ალათი და იავარი და წარვიდა თდიშს. გარნა შეწყობილთა გრძელობისათა წუწებისათა დაასხევინა გეცხლით თავი, რომელი არა-ოდეს ქმნილ იუო იმერეთს შინა და შემთხვევა მიერით ესე ესრეთ.

უმდგომად ამისა განირისსა და მოქლა მამა თვისი მამია გურიელი ქ-მან თვის-მან სვიმონ, მწოდებრე სარეცელსა ზედა მიღად ქს. ჩქარიშვილი, ქრ. ტიმ და დაიბურა გურია თვით: ხოლო დადიანს ლეგანს, ვისად-გან ეძღა გიორგი მეფისა-თვის განიზრასა, რამეთუ ჟერ ბრძოლი ესე სვიმონ, ნე თუ ზაგჟერს გიორგი მეფისათვა და შეითქვენ ჩემზედა: ამის-თვის აღირნა გურიელად დასიად გასტანგ გურიელისა ძისა ქადაგსრუსი, ძმისა მარიამ დისა თვისისა

შეიკრიბნა სპასი და მოვიდა ლანჩხუთს; შიზეზ-ჭეო და მიუთხოა, სვიმონ გურიელისა: „ვინაღან მოჰქლა შაშა შენი, არღა-რა; მწებავს მოყვრობა. შენი, მთმეც და ჩემი და უკუნვიქტევი:“ არამედ სვიმონ იქ მხედვე, ასოვანი, შემძართებელი, ამანაც შემთვირიბნა სპასი, ეპეპ-თა დადიანის ლაშხუთს, ფიცხელ სასტიგისა ბრძოლის შემდგომად იძლია გურიელი სვიმონ და სპასი მისნი. შეიძურეს სვიმონ გურიელი და მთართვეს ლევან დადიანისა: მაშინ ლევან დადიან-მან აღმოხადნა თვალის სვიმონს და დასვა გურიელად ქაიხოსრო. წარმოიყანა და თვისი მარიამ და მოვიდა თდიშს გამარჯვებული.

სოლო ამის წინა წელს მოვიდა მთურავი გიორგი სამცხიდაშ გიორგი მეფისა-თანა და მერმე მიიწვია ლევან დადიან-მან. გარნა არა დაადგრა და წარვიდა: არამედ ვინაღან სცა პატივი მეფე-მან და აღუთქეა კეთილდნი მისდა. ამისთვის მთითხელე სპასი გიორგი მეფისა-გან შეწებნად თვისებდ, ამან მეფე-მან წარულინა სპასი ზემო მხრისანი და უთავა მათ ბოქტულთუხუცესი მამუკა და ბაშიძე: მიღლ-დაბარ, უპეთუ განძლიერდეს მოიწოდ იგიცა დადიანსა ზედა, რომ-ჯისა-გან ქავერი იუთ. გარნა ცუდ იქმნა განზრახვა ესე და მოვიდ-ნენ სპასი დატოლებილნი: შემდგომად ამისა იმზახდეს ბატონი თეიმუ-რაზ და გიორგი მეფე, მოსცა ბატონ-შა თეიმურაზ ასული თვისი ქურივი ზერაბ ერისთავისა დარევან ცოლად ალექსანდრეს ქესა გი-ორგი მეფისასა.. მიღიდა მუხრანს, ჭეო ქორწილი ქს. ჩქერ, ქრ. ტიშ, წარმოიყანა და მოვიდა ქუთათისს: სოლო დადიან-მან ლევან განიწეო სპასი და მთითწენო აფხაზნი, ვიდრე დაპურობადმდე. განმ-დიდოდა ფრიად, რამეთუ შემუხრანა საჭნი ზეფისანი და ჭევა შედედ და მორჩილად ქაიხოსრო გურიელი და განაცხად მტერობა მეფისა გი-ორგისა, განზრახვითა შაარა წერესათა და უხდებოდა შარადის დღე-სასწაულთა შინა იმერეთს და ბრძოლენ მდევრად მრავალგზის იმერ-ნი. გარნა იგინიუ მრე ექმნებოდიან და ტეშებ ანუ შეკობილთა, რომელთა წარიყვანდნენ დაახსნევინებდნენ ვეცხლით თავთა: აშით შე-მოხდა ცხადად ტევისუიდვა, რამეთუ სპათაცა მისთა ფარგვით იწევს თათართა ზედა ედგარტევა და საშოართათა და გამრავლდებოდა ესე-გითარი ხდომა და უჯეროება იმერეთსა ზედა: სოლო ინება როს-

ტომ ქართველთა მეფე-მან შესახლობა დევიანისა და მთითხევა-  
და მისი მარიამ ცოლად ქურიგი სვიმონ გურიელისა, მისცა და-  
დიან-მან.. არამედ აქტენდა შიში გზასა ზედა გიორგი მეფისა. ამის-  
თჯე შეითქმუნენ და მოვიდა როსტომ მეფე ფერსათსა ზედა და  
დადიან-მან უძმოვრიბსა სპანი ღიღი წარმოიყვანა დამთვისი მა-  
რიამ, გამოვლო სამიქელაო, ფოგე და განვიდა რითს, შევჭო და  
მივიდა კაგას ხიდსა ზედა. მუნ დახტედა როსტომ. მეფე, მისცა  
და თვისი ღიღებითა და წარვიდა როსტომ: არამედ გიორგი მეფე-  
მან ჰერთა უამი მარჯვე, შემოიკიბა სპანი, რათა ეწეოს ასე დასხას-  
დადიანისა და წარვიდა მცირითა კაცითა კანისტრობად სპათა დადიანი-  
სათა, შერმე მოქცეულ-მან ადასრულოს წადილი თვისი: აკრძანა ესე  
დადიან-მან, წარმოავლინა სპანი ფარულად, მოეტევნენ გიორგი მეფე-  
სა, შეპურეს და მიგვარეს დევიან დადიანსა. იგი შეწრაფლ აღიუარა  
სპათა, წარიუვანა გიორგი მეფე და წარვიდა ოდიშს და პატიმარ-ჰერ-  
მუნ მეფე. ამის-თჯე ალექსანდრე-მ ქ-მან გიორგი მეფიან-მან წარუე-  
ლინა კაცი, რათა მოსცეს მამა: ხოლო მან მთითხევა გაჭარნი ჩი-  
ხორისა და ჩხარის სომეხსი და ურიანი სახსრად მეუისა გიორგისა:  
მაშინ ალექსანდრე უღონთ-ქმნილ-მან მისცა იგინი სოულიად და  
დაიხსნა მამად თვისი, მოვიდა ქუთათისს და შემდგომად ფრიადითა  
მწერსარებითა და ესე ფითარებათა-თჯეს და ვერა რაისა მწერბისა მშო-  
ნელი მოქტედა მეფე გიორგი ქს. ჩქლო, ქრ. ტბზ და დაუტევნა  
ქერი. ალექსანდრე, მამუკა და ბერი.

ივ, მეფე ალექსანდრე გ, კე წელი ჰმეფა.

ხოლო შემდგომად მაშისა თვისისა დავდა ალექსანდრე მეფედ  
იმერთა და ეკურთხა ქუთათისს: არამედ დევიანი 1) არა დასცუ-

1) იტყვიან მხედარ-მან დადიანი-მან მიპყიდა მაჲმადიანსა ტყვე, აშის-  
თვის კათალიკოზ-მან იწვია და დაუდვა მწვარი ძალი. „ეტყოდა ჭამასა,  
რამეთუ არა არს არა-წმინდა.“ ვინალ-გან იქმნა ესე, ალუძნდა ლალიანსა  
და მოაყვანინა ტყვე იგი სტამბოლიდამ და მხედარი იგი მისცა. პატიქსა,  
გარნა კვალად არა დასცრა კირთებად.

ხის და უსილებოდა მარადის იშერეთას შტას, სათლის-ლებას, „დღვიუ-  
შას და უფეხულთა დღესასწაულთა შინა, რაშეთუ ეტეფლა შაარა: „არა  
ძლევა მტერია შენთა ზედა დღესასწაული შენდა:“ ვინად-გან უშედდა  
დღესასწაულთა შინა განცხომა, შევბა და მოცალეობა იმუროვის გან-  
სუნებისათვეს: ამით ასხრებდა სწასხების იშერეთისას, გილო გერლა-  
რა წინა-ალებრა ალექსანდრე შეუკე და მოავლო შედედე ქუთათისეს  
დიდი და მოიყვანა უფეხულთა წარჩინებულთა თვისთა ცოლ-შეიღნა და  
დაადგისსა მას შინა და თვითოცა იმუროვბოდა მასვე შინა, რათა არა  
მიერთნეს დადიანსა ჸელ მის-თვეს: არამედ ლევან დადიან-მას სიმდი-  
დრით აღვზავებულმან ჸელ სასახლე იმ თდიშს შინა უფლებითა მოწ-  
უობილობითა, რამეთუ არა წარიდის ერთიდამ შეორეს შინა არა-რამშე  
სახმარი ანუ ცხესი და გარემო წერათა უასლოესთა დასდგა იყია-  
ლანი. აქრისანი და უშორესთა გეცხლისა, დაბმული ქეწვებითა,  
რათა სშიძენ მგზავრი მით. ვინად-გან გერ-ვის იგადრებდა ქურდო-  
ბასა ანუ პარვაზებულებისა ქვეყნისთა შინა მისთა: არამედ იმერთა  
უფლედ ესრეთ თანა-მთხათესავეთა, ურთა-სჯულთა და შევებსა თვისსა:  
ბეჭდად განზრასებითა შაარა წერწისათა, რამეთუ სტულობდა ცოლი.  
დადიანისა შაარას და მტერობდა წერწი მას. ამის-გამო შეუთქა ლე-  
ვან დადიან-მას ცოლსა თვისსა სიძეა მეწილისა-თანა თვისისა, შეიძურა  
იგი ქებითურთ, შოადეა ზაობაზანსა შინა და განტერცნა და დაი-  
ფანტნენ სრულიად: მერჩე მოიყვანა ლევან. სხვა ცოლი და იქორწინა.  
გარნა არა უშეა ქე, არცა ასული და მოსწერდა თესლი მისი: კარნა,  
არცალა-თუ დასცხოა თხრებად იმერთისად: ამ ჭამებთა შოიწიფაცა  
ძმა ალექსანდრე მეფისა მამუკა და ესე მამუკა იყო მხერ, ასოფანი,  
შეენიერი, კისგანი და შემშაოთებული ძლიერი: ამან უწოდა ბრძოლა  
ლევან დადინსა, მცირედ მცირედ და მოსწერეტლა სპათა მისთა იყრი-  
ადად. გარნა მრავალ-გზისცა მოსულიტნა, ვითარ ვერდე-რა დამართვის  
დენ მეგრელი მის წინაშე და მსილეველი მისი მსწრაფლად იქლეტო-  
დენ: ამის-თვეს ლევან დადიან მცდელობდა სიკუდილსა ანუ შეპურო-  
ბასა მისსა ფრიად: ხოლო ჟევანდა მამუკას ცხენი ზერდაგი დიდი  
მლიერი და ფიცხელი, რომელსა ვერ უდგშადა ავეთებასა მისსა მეგ-  
რელთა ლათშა: დღესა ურთას მოვიდა ლევან დადიანი სწითა, ჟიცრა

მამუკა-მ, შეიტყრა განსლვად. არამედ არა უტევებდა განსლვად მე-  
ფე ალექსანდრე, რამეთუ ეშინოდა სიკუდილისა მისისა და ამის-  
თჯე დაუმალა ზერდაგი მისი, <sup>1)</sup> რათა არღა-რჩ განგიდეს: მაშინ  
მამუკა, უომინოებითა განვიდა სხვითა ცხენითა და ამისი მხილველ-  
მეგრელი ივლტოდნენ, მიეწია მამუკა, სცა შები და დასცა პატი  
ცხენითურთ მიწისა. არამედ უბრკმა ცხენსა მამუკასა და დაეცნენ თრ-  
აონივე: მხილველი მეგრელი უკმოქცენენ, შეიძურეს მამუკა და  
მიგვარეს ლევან დადიანსა: მან განახარა და წარიგუასა და პატიმარ-  
ჟეო ციხესა შინა: ხოლო ალექსანდრე მეფე-მან ვერასადა შეწევნისა  
მშოველ-მან და მთმლოდე-მან, იხილა განძლიერება რუსეთის მეფის  
ალექსისა, განძრობასა, რათა მოიცეს მუნიდამ ძალი. ამის-თჯე წარ-  
ვლინა ხსია ჭავარიძე წინაშე მისისა ძღვშითა და ითხრება შე-  
წევნა.

შემდგომად ამასა მოვიდა ბატონი თეიმურაზ ლტოლვილი ქს.  
ჩქმშ, ქრ. ტოლგ, მიეგება ალექსანდრე შეფე და პატივ-სცა. არამედ  
შემდგომად გლოვისა იწვია დადიან მან ლევან და განუზრახვიდა  
ალექსანდრე მეფე წარსლვასა, რათა ზავ-ჭეთს მათ-შორის, რამეთუ  
ალექსანდრე იყო სიძე და ლევან მამიდის წული, და განატევებინოს  
მამუკა: ამის-მიერ წარვიდა ბატონი თეიმურაზ, მან ისტუმრა და  
პატივ-სცა დიდად: შემდგომად უწევთ ზრახვა წინ-თქმულთა-თჯს ვე-  
ლრებით, რათა ჭური ზავი და დააცადოს ოხრება ქრისტენეთა და  
განუტევოს მამუკა შეაძგომექთბითა მისითა: ამას ზედა პატივ-  
სცა ლევან დადიან მან და აღუთქვა უფლად კოველი. არამედ არა აუ-  
ფლა წუწე-მან ამის უფლად დადიანი. ესრეთ მეტეველ-მან: „უკერა  
არს განტევება მტრისა. რამეთუ მთიცემს რა ძალისა, კვალადცა არს  
მტრი:“ ამის-თჯს ითხრება შენდობა ბატონი თეიმურაზისაგან, კერდარა  
რა უფლად, ვითარცა აღუთქვა და წარვიდა ბატონი თეიმურზ უქმი: ხო-  
ლო დიდსა რუსეთის მეფესა კეთილდ შეეწევარა ხსია და წარმო-  
ვლინა თვისნი ღესჩად ნიკოფორე პავლეს შვილი და მდივანი. ალე-

<sup>1)</sup> იტყვიან, სიკეთისა მისისა-თვეს შურის-თვეს დაუმალა ცხენი, რათა  
ევნოს რაიმე.

ქსი თანებს შვილი ნიჭითა დიდითა: ესენი მოვიდნენ რაჭას. ამათ  
მიაგდნა მეფე-მან ალექსანდრე მ ფომ-კაცი ჯაფარიძე და გიორგი  
არეშიძე, მერქე მოვიდნენ ქუთათისს წინაშე ალექსანდრე მეფის ქს.  
ჩქა, ქრ. ტლო და მთართვეს ნიჭი მუნებურნი სამურნი და ლარ-  
ნი: შემდგომად წარავლინა მშეიძლით და ეგედრა კვალად შწეულ-  
ფას: ამისა შემდგომად აღივსო შერითა ლეგან დადიანი და არა-  
შეიწყალა სიჭაბუებები და შევინერება მისი, წარავლინა კაცინი და აღ-  
მოხადნა თვალი მიმუქას შეფის ქეს ციხესა შინა პატიმარსა: შერ-  
მე მცირედისა ხანისა შემდგომად მოკუდა მამუკა ქს ჩქ დ, ქრ.  
ტმბ: ხოლო ალექსანდრე შეფესა, გიხად-გან განეჭო ქე თვისი ბაგ-  
რატ დედითურთ შისით და არა ესვა დარევანისა-თანა შვილი. ამის-  
თვს მოიყვანა ძას ქე ბატნის თემიშრაზისა გიორგი და ზრდიდა  
ქედ თვისად. არამედ მოკუდა იგიცა და უდინო ქმნილ-მან ალექსან-  
დრე მეფე მან მთავანა ბაგრატ ქე თვისი, შობილი გურიელის ქა-  
ჭაბა-გან და ჰევავდა თვისთანა, გითარწა სამეფო ქე, ხოლო ლეგან  
და დიანებან გიხადგან არა შეიშინა დემოს და სტუგენკიდა, ახრებდა და  
ჰელგილა კაცთა ქრისტიანეთა, მისცა მასცა სოფელმან ნიჭი თვისი და  
მოკუდა ლეგან დადანი ქს. ჩქნზ, ქრ. ტმე და დასვეს დიდშართა,  
ლიპარიტ დადიანი ძმა ლეგანისა, ნაშთბი ათაბაგის ქალისა-გნ:  
ამის-მან მსმენელ-მან მეფე-მან ალექსანდრემ შემთიქობინა სრულად  
სჭანი იმერთანი და წარვიდა თდიშს შერის-გებად: ამას ვერ წინა-  
ალედგა ლიპარიტ დადიანი, შევიდა ალექსანდრე თდიშს, მთსწუვიტნა.  
მთსტუგუქნა, მთახხნა, აღილო ციხენი, გამოიღო საგანძურნი და  
ქონებანი ლეგან დადიანისანი, შეიბურნა წარჩინებული სრულიად  
თდიშისანი და დახსნევინა ვეცხლით უოველთა თავნი, გამოუხენა  
მათგე ქენი მქელად და დასვა თდიშს დადიანად ვაშიუ, ქე მამის  
დადიანისა და თვით დამბერა უნაგირას აქეთი აღმოსალეთის კერძი  
და უნაგირას იქითი დასავლეთისა მისცა ვაშიუს: მერქემ წარმოვიდა  
ნიჭითა, ალაფითა, იავრითა დიდითა და ტუფითა და ნატუგენავითა  
გამდიდრებული და მოვიდა ქუთათის გამარჯვებული.

ხოლო ლიპარიტ წარვიდა ახალ-ციხეს და ევედრა ათაბაგს  
როსტომ ფაშას და მეფეს ქართლისასა როსტომს, მათ მთსცუს-

სშანი, მოვიდა სპითა გურიას, მოჭევა ქაიხსრო გურიელიცა სშითა  
თვისითა, რამეთუ მმა ლაპარიტისა იუთ და ჭილაძე მიქელაძენიცა  
მათ თანავე და გამოვიდნენ რიცხს: ამის-მან მცნებელ მან ალექსან-  
დრე მეფე-მან შემოიკიბნა სშანი იმერთა და განვიდა ცხენის წყალს.  
მას დამეს მოუმცო ალექსანდრე მეფესა თტია მიქელაძე-მ: „მაც-  
ნობე ხვალისა კურტაკი და ლენი შენი, არ თუ ხარ ჯაბან და მეც  
ვაცადუნო შების წვერი ჩემა სათვალესა ზარადისა შენისას:“ ესენი  
აუწეს მეფე-მან და დილასა რაზმთა წერბასა შინა მოუწდე მეფე-  
მან ლევან აბაშიძეს სიძესა თტია მიქელაძისასა, შესვა ცხენისა თვის-  
სა ზედა და შთააცვა კურტაკიცა თვისი, რამეთუ უცნობელ იუთ  
წინა თქმულთა და ლევან განიხარა ნიჭისა-თჯს მეფესა, რამეთუ იუთ  
შემმ-რთებელი და ერთ-გული მეფისა და იქმნა ბრძოლაცა ბანძას  
სასტივი, ქს ჩქერი, ქრ. ცემ და მოისროდნენ თრ-კერძოება. მაშინ  
ოტრიამ მეძიებელ მან მეფისა-მან ჭილი იგი და ჭილი შები ზარადის  
სათვალესა შინა ლევანს და განავლო გეფასა და შესძახა: „მე გარ  
ოტრია:“ ეჭა უცხო, რამეთუ არა გარდაიჭრა ლევან. არაშედ მიუგო  
ოტრიას: „რას ეტევი ასევესა შენისა, უგეოუ შენ ხარ თტია:“ მაშინ  
იძღვავნენ იგინი ბანძას და ლტოლვითა მოისროდნენ ალექსანდრესა-  
ნი. არამედ ართა-რა ივლოტდა თტია და დარჩა მეფესა ნებითა  
თვისითა. გარნა მასვე ჟამისა მუნევ დასწრნა თვალი ზუმბითა: ხო-  
ლო შეითქოეს ქართველი, მესხი, გურული და ოდიშარი და  
ლიპარიტ დადანი. და ქაიხსრო გურიელი წარვიდნენ ლტოლვილნი  
სტამბილას: მერმე დასვა ალექსანდრე მეფე-მან კვალად დადანად  
გამიუვე და გურიელად დემეტრე ქე სვიმონ გურიელისა: შემდგომად  
დაასწრევინა ქართველთა, მესხთა, ბურულ-ოდიშართა ვეცხლითა თავ-  
ნი და განუტევა თვისითა ქეყენათა შინა. მოვადა ბანძიდამ ქუთა-  
თისს და იურავებოდა მშეიღებით.

ამისა შემდგომად მოვიდა ქაიხსრო გურიელი სტამბილიდამ  
და ლიპარიტ მოქეულარიყო და ამისი ებრძანს ხანთქარსა ათაბაგისა-  
თჯს, რათ მწე-ეუს ქაიხსროს: მოსცა სშანი ფაში და ჩამოვიდა  
გურიას. ხოლო დემეტრე ივლოტდა იმერეთს და დაპურა ქაიხსრ-  
ორ. მ გურია: ამის შეუჩინეს მაჭურაძე მეფე-მან და დემეტრე გუ-

რიელ-მან, მან მფუკულა ქაისისრო გურიელი ლალატად, წავიდა დე-  
მეტრე და დაიპურა კელად გურია ხოლო ძენი ქაისისრო გურიე-  
ლისაგან გიორგი და მალაჭა წარვიდნენ წინაშე რცსტომ თვაშისა  
ახალ-ციხეს და იმუფლებოდენ მუნ მას-თანა. შემდგომად ამისა მო-  
გებდა მეუე ალექსანდრე ქს. ჩქ, ქრ. ცმტ.

იზ. მეფე ბაგრატ დ, კ თორულ ჰელი.

დავდა ბაგრატ მეუედ ქე ალექსანდრე მეუესა და აკურთხეს  
ქუთათის: ხოლო დედისნაცვალ-მან მისმან დარეჯან დედოფლა-მან  
მისცა ბაგრატს ძმის-წელი თვისი ქეთევან. დავითის ასული ცოლად  
და აქარწინა დედებით და ისისა გერი თვისი; არამედ შემდგომად  
ექვისა თვისა მზავერთა კაცთა ენითა შეიპურა ბაგრატ მეუე, ბერი  
თვისი დარეჯან დედოფლა-მან, წაგრარა ცოლი ქეთევან და აღმოჩე-  
ნა თვალი, შოთავანა გინშე მეფეთა მონაცესავედ წოდვილი ვახტანგ,  
რომელსა კუშებუნის შეილობითაც უსმობდენ, შეითოთ ქრმად იგო  
და დაიპურა თვით იმერეთი და ვახტანგს უწიდა მეუედ: ესე ბაგრა-  
ტის კერძოთა იმერთა არა სთხიდათ და აუწეს ასლან ფაშისა: უკ-  
მითირიძნა ასლან ფაშა-მან სპანა და ჩამოვიდა იმერეთს, მიეგებნენ  
დადიან-გურიელი და იმერნი, მოვიდა ფაშა; შეიპურა ვახტანგ და  
დარეჯან დედოფლა-ლი და ქეთევან ცოლი ბაგრატ მეუესა. ხოლო იმე-  
რეთს დასვა ბაგრატე უთვალი მეუე და იგინი წარიუვანნა და მი-  
ვიდა ახალ-ციხეს, მუნიდამ ვახტანგ და დარეჯან და ქეთევან წარ-  
გზავნნა თლითის და დასადგურა მუნ: ხოლო ბაგრატ მეუე უთვა-  
ლითი გერა ეგდენ მართვიდა იმერეთსა, ამის-თვის შეითქვენენ  
იმერნი დადიანისა-თანა და მოვიდა დადიანი იმერეთს კვალად აქად  
წარმოება მეუე ვახტანგ ქორწილისა ზედა, მაშინ ეზრასა დადიანი  
მეუე ვახტანგ და დამზახლენენ მეუე ვახტანგ და დადიანი ვამიუ და  
დაიპურა დადიან-მან ბუჯის-წელის დასავლეთის კერძონი და აღმოჩა-  
ვლეთის კერძონი მისცა ვახტანგ მეუესა და ბაგრატ მეუე მულთობდა ცი-  
ხესა შინა ქუთათის: განზრახვითა ცოლისა თვისისათა განუტევა მძახ-  
ალია ვახტანგ მეუესა დადიან-მან ვამიუ და დაწინდული არჩილისა ძისა

მისისა ასეული თვისი მისცა დოდობერიძეს ბეჭანს: ესე შეუძნდა ვახტანგ  
მეფესა. ეზრას გურიელს დემეტრეს, აბაშიძე პაატას და ზემო-  
მხრელა იმერთა: ხოლო ამათ მოკლეს ბეჭან დოდობერიძე და მოუ-  
წოდეს ვახტანგ მეფესა. იგი წარმოქმართა სპითა ძლიერითა, მოვი-  
და დადიანიცა ვამიუ სპითა თვისითა საჩხერეს და შემთიკრიბნა  
იმერნიცა; არამედ რა გარდმოვლდ ვახტანგ მეფე მან მთა ლიხი-  
სა მიერთვნენ სრულიად ზემოურნი იმერნი მას და ლაშისშვილი  
ხსია თავი ლეჩხუმისა: ესე იხილა ვამიუ დადიან-მან ვეღარა და-  
უდგა ბრძოლად და წარვიდა ლდიშს: შემთვიდა მეფე ვახტანგ, აღი-  
ღო სვერი კაცხი. ხოლო სკასდილამ მოვიდა ბატონი თემურაზ  
მის-თანა და სკანდა დაიბურა ვახტანგ, მოვიდა, მთადგა ქუთათისს,  
აღიღო ქუთათისი და გამოიყვანა ბაგრატ მეფე: მაშინ მოერთვნენ  
სრულიად იმერნი და შემოგრუბული უოგლითა ქართველ-იმერთა ჩა-  
მოვიდა ლდიშს: ვერ წინა-აღუდგა დადიანი ვამიუ. არამედ განივლ-  
რო სვანეთის: ხოლო ვახტანგ მთსინა ურჩხი ლდიშს, მთსტუმებნა,  
აღიღო ციხენი და მთადგა ქაქვითის ციხესა. აღიღო იგიცა, გამოიუნანა  
ცოლ-შვილი ვამიუ დადიანისა და გამოიღო საგანძურნი მისნი, მოვიდა  
ზუგდიდს და მუნ მთერთო შარვაშიძე ძღვნითა ღიღითა და აფხაზითა.  
შერმე დასვა დადიანად ლევან და მისცა ძმის-წელი თვისი თამარ ცოლად,  
თუ რამე შეეჩენითა ხსია ლაში სშვალისათა მოკლეს სვანეთს დადიანი  
ვამიუ ბრძანებითავე ვახტანგ მეფისათა: კვალად შეიბურა ვახტანგ მეფე-  
მან ჭერდინდელი ჩიქანი, მა კაციასი და წარმოიყვანა ბატიმრად, მო-  
ვიდა ლდიშიდამ კვალად ქუთათისს: აქა მთერთო დემეტრე გურიე-  
ლი ძღვნითა დღითა, მთივვანა ძე თვისი არჩილი წლისა დღ და  
დასვა მეფედ იმერეთისად და კურთხა უთველთა იშერთა სათხა-  
ჩენითა ქუთათისს ქს. ჩქა, ქრ. ტმთ. მემდგომად წარვიდა მეფე  
ვახტანგ და წარიყვანა მეფე ბაგრატ ქართლს.

იმ, მეფე არჩილ ა, ბ წელი და ნახევარი ჰმეფა.

ხოლო მეფებდა არჩილ და მორჩილებდნენ უთველნი იმერნი  
წესისაებრ და ერთგულობდენ სრულიად: არამედ შეუძნდა ესე ასლან

ფაშასა ახალ-ციხისასა, რამეთუ აღდა-რა ნებასა ქვეშე მისსა იუვნენ  
იმერნი, არამედ არჩილისასა და ამის-თჯს დამართა წინაშე ხონთქრი-  
სა. მაშინ უენმა მოუწერა გახტანგ მეფესა და მან წარიუგანა ძე  
თვისდ არჩილ: ხოლო იმერთა სთხოვს გახტანგ მეფესა ბაგრატ. მე  
ფე, შენ მოსცა და დასვეს კვალად მეფედ ქს. ჩქერ, ქრ. ტნა.

### კვალად მეფე. ბაგრატ დ. ზ წელი პმეფა.

ხოლო დასვეს რა ბაგრატ, მთადგა ფაშა შთამოსლებად იმე-  
რეთს მთასა, რათა განაძლს არჩილ: მაშინ იმერთა აცნობეს შეფობა  
ბაგრატისა და უკუნ-იქცა მთიდამ ფაშა და დაშთა ბაგრატ მშვი-  
ლობით: არამედ დადიან-მან ლევან არა ინება მეფობა ბაგრატისა,  
ვინაღ-გან შზახალი იუც შანაოზ მეფისა, ამის-თჯს ამავე ქორონი-  
კონს შემოიკრიბა სპანი და მოვიდა, მიეგება ბაგრატ სპითა, ეკებოა  
და იქმნა ბრძოლა, ძალა დადანი, შეიძურეს და მთართვენ ბაგრ-  
ატს. ხოლო სპანი მისნი მთსრნეს და ტევე-ჭევნეს: მაშინ შეამ-  
ჭირვა მეფე-მან დადიანი, მთაუგანინა ცოდი თამარ, წარგვარა მას  
და შეირთო თვით ბაგრატ ცოდად და განუტევა თათა და თა-  
მარისა, რომელი მისცა შანაოზ, რაჭამს წარმოიგზავნა იმერეთს, ჯე-  
რეთ უქორწინდ და ლევანს დადიანს მისცა და თვისი გრძაძის  
ნაცოდარი (რომელსა ესევე დადიანი ლევანცა შესწამოდა, რეცა  
მრუშებად მის ქაფისა-თანა), უქმნა ქორწილი და განუტევა დადია  
ნადევე: არამედ უამებთა ამათ შინა განუდგნენ მთავარი და მიიტა-  
ცებდიან თვის-თვისთა მხარეთა და აღდა-რა იუც მოჩიდება ეგდენი  
მეფეთა, იწეს ტევის-უიღვა სააჯმნოდ ქრისტეს<sup>1)</sup>) მთსეუდულთა  
შაჟმადიანთა ზედა. კვალად ხდომა, შველი, კირთება ერთ-მან მეფ-  
ესა ზედა და ხსრება ქვეუანთა: ხოლო განდიდნა ჩხეიძე სენია  
სალთხუცესი. ამინ იკლო რაიმე ბაგრატისა-გან, იწყო ზრხვა და  
ერთ გულობა ფაშისა, მოიუგანა სპანი ასმალთა, მთიშარა ციხე ქუ-  
თათისისა და შეაუენნა ასმალნი ქს. ჩქერ, ქრ, ტნდ. ესე აღუძნდა.

(1) ქრისტიანეთა უნდა.

ბაგრატის და უთველთა იმერთა, არამედ დაიღუშეს ჭერეთ შიშათა  
ოსმალთათა: ამასვე ქორნიკონს მცურდა კათალიკზი სვიმონ ჩხეია-  
ძე და დაჯდა საუკარეჭიიძე ევლემიზ. შემდგომად ამისა იცა უაშმა  
მცურავ-მან ბეჭან ლორთქიფანიძემან, შეეტყუა ქუთათისს ციხესა,  
მცხოვრის ასმალნი და აღიღო ციხეს ქს. ჩამზ, ქრ. ტნე და მასცა  
შეფუნქსა ბაგრატის. ხოლო დარეჯან დედოფალსა წინათვე აღეთქვა კნ.  
მარჩილი ფაშისა-თჯ, რათა იგივე ჰუთს მეზედ იმერთს და ვინად:  
გან არა აქტნდა გეცხლი, დაქწიდნა მმის-წული თვისი ქეთევას. ხო-  
ლო აწ საქმითაგე დარეჯანისათა დაიხსნა შანაოზ მეფე-მან ქეთევან,  
წარიშვანა და შერიც ქსა თვისესა. და რა აღიღო ფაშა-მ თეთრი  
იგი გვედრა დარჯან კებალად ფაშისა და ვინად-გან მოსწოდოს ქუთა-  
თის ასმალნი იმერთა, ამის-თჯს აღუთქვა და შემდგომასა წარმოე-  
მართა სპითა- წარმოიუვანა დარეჯან და ვახტანგ და ჩამოვიდა იმე-  
რებს, მიეგებნენ დადან-გურიელი და ჩხეიძე სენია. ამის-თჯს გერ-  
და-ნა წინა-აღუდგა ბაგრატ მეფე და წარვიდა ქართლს. მაშინ ას-  
მალთა მცხოვრის, მცხოვრის მცხოვრის იმერთა, შემუსონეს მრავალნი ხატ-  
ნი და ჭვარი, მცხოვრეს ქარებანი და ეპლესიანი ქს. ჩქმლ, ქრ. ტნე.

### კვალად დარეჯან და ვახტანგ კუპრუნა-შვილი.

დასვეს დარეჯან და ვახტანგ მეფედ და წარვადა ფაშა ალავი-  
თა საგსე ახალ ციხეს. მაშინ დარეჯან და ვახტანგ ჰევნეს სანდოთ  
თვისად დაშხისშვილი ხოსია თავ-ლეჩხუმისა და ჭისცხ მირნიცა  
დარეჯან ხოსიას და ვახტანგ მეფე იმერთა. შემდგომად შეიზრახნენ  
იმერნა გარდმომაბირეს ხოსია და შეუჩინეს დარეჯანს და ქუთათის  
ციხესა შინა, აღმგაზმელი თავისა თვისა ღილასა დარეჯან დედო-  
ფალი მოჭყლა შებითა ხოსია. ხოლო იმერთა ასპარეზსა ზედა  
მიმომთხველი ვახტანგი მოჭყლეს, მცხოვრის პურიელი ღმეტრე  
და დასვეს მეფედ, ქს. ჩქმლ, ქრ. ტნე.

### თო, გურიელი დემეტრე.

შემდგომად მცირედისა ქაშისა შეიპურეს დემეტრე გურიეჭი.  
იმერთა, აღმოხადნეს თვალი და ვანაძეს. მაშინ ასლან ფაშა წარ-

მთავლინა ძე ქაიხლსრო გურიელსა გიორგი და დასკა იგი ბურიელად. ხოლო შანათზ მეფესა ჭითხვეს იმერთა ბაგრატ მეფე შან წარმოუგდინათ და დასკეს იგივე შეფეხდ იმერთა ქს, ჩქმთ, ქრ. ტეზ.

კვალად შეფეხ ბაგრატ დ, თ წელი ჰელი

არამედ გვალადცა ამავ ქორთხიერნსა ჩეხიძე სეხნია მ არა ინება მეფების ბაგრატისა და აფილი მოპარვით და ზაკვით ქუთათმის ციხე და მისცა ასმალთა და მიერთ უშერავთ. ღღედმდე. მარმე შეიყრიბნა იმერნი სეხნია მ და მოიუვანა დადიანი და მოვიდა მეფესა ჟედა: ხოლო ბაგრატ მეფე-მან შემთიერიბა რაჭა-ლეჩებუმძ და აკრიბელნი, შეიძნენ ჩხარს, ღმისა ბრძოლა და მოსუედენს სპანი მისანანი. ხოლო დადიანი, იგლოურდა ლილშესვე და დაიბურა ბაგრატ უმეტესად იმერეთი. გარნა კვალად არა დასცხერა დადიანი, რამწუმ შერი აქენდა ცოლისა თვისისა თამარისა-თვს, რომელი იყო ფრიდ პეკლუცი და აღმატებული შეენიერებითა სრული უმეტესად, შემთიერიბა სპანი, მოვიდა და მიერთვენ სრულიად იმერნი. მაშინ მოუღდა ბაგრატ მეფესა ქუთათისს ქს. ჩქმა, ქრ. ტნთ. ხოლო ბაგრატ შეფეხ წარვიდა. რაჭას და დადიანი დადგა გეგეტს, არბეგდენ იმერეთს. მაშინ ბაგრატ მეფე-მან შემთიერიბა რაჭა-ლეჩებუმძი და რათლენნიმე იმერნა მას-თანა, ჩამოვიდა, ეწუთ გეგეტს დადიანსა, ბრძოლასა იძლია დადიანი, მოსრნეს სპანი მისი და ლტოლევილი დადიანი შეიბურეს კვალად და მის-თანა მრავალნი სხვანი, მთართვეს ბაგრატ. მეფესა და დაიბურა იმერეთი. მერმე დადიანი აუგუდა ერთგულობასა ზედა და განუტევა, ვინად გან ჰევა დამ ბაგრატ მეფისა ცოლად. არამედ გორგო გურიელი იყო კაცი მხნე, შემმართებული, მშეიალდოსან-მისპარეზე რჩეული, უდოთ, შესისხლე და ტუვის-მსუიდველი უწევალი. ამან მისახნა მეეთბრედ მოსრულნი აფხაზის გურიას მრავალ-გზისა. გარნა ეტროალა ცოლისა ბაგრატ მეფისასა თამარს, მცდელობდა წაგვარსა და თვით შერთვასა და ვერ ეწია. ამის-თვის ეველრა ფაშის, რათა წაგვარს ბაგრატ მეფესა და მისცეს მას და

აღუთქვა ქრთამი დადი და შეასმინაცა ფრგულებასა ზედა ხონთქრი-  
სასა ბაგრატი: ხოლო ფაშამ მაქმდიანობითა და ქრთამისა თუ არდა-  
რა გამოიყითხა და წარმომართა ბაგრატსა ზედა. ესე ჭირი ჩეგა-  
ძე-მ როსტომ და აუწეა ბაგრატ მეფეესა. მაშინვე ბაგრატ წარავლინა  
თამარ ცოლი თვისი ციხესა შინა გვარის და თვით შეიკიბა სრუ-  
ლიად იმერნი, მოვიდა ფაშაცა და გურიელი მის-თანა ქუთათისს,  
მკვეთა ბაგრატ სპითა თვისითა და იქმნა ბრძოლა. გარნა ივლტოდ-  
ნენ იმერნი და ბაგრატ უთვალობით ვერდა-რა ივლტოდა, შეიძერეს  
და მოგვარეს ფაშას ქს. ჩქობ, ქრ. ტ. მაშინ ბაგრატ კვედრა  
ფაშასა და აღუთქვა ქრთამი დადი, რათა ჭელი იგივე შეფერდ. ხო-  
ლო ფაშა-მან იხილა რა, რამეთუ არა ძალ-ედვა შოგნა თამარისა და  
შემუსრევა გვარას ციხისა. ამის-თვის მიღილ მეფისა და გურიელისა-  
გან ქრთამი დადი, მისცა იმერეთი ბაგრატისაც და ბაგრატ ქრთამი-  
სა-თუ მისცა წინდად ძე თვისი ალექსანდრე (რამეთუ ესე ალექსან-  
დრე იურ შობილი ლეჩჩემელისა გოჩილას ცოლისა-გან, რომელსა  
ბაგრატ მეფე თანაუროფლი სიძვად და გინად-გან არა ესვა ძე ბაგ-  
რატს ესე მოივეანა, უწიდა ალექსანდრე და ზღიად ძე თვისად):  
ხოლო ფაშამ წარიუგნა ალექსანდრე და წარვიდა. შემდგომად ამის  
ზამთარის ამას შეიკიბა ბაგრატ მეფე მან სპანი და წარვიდა შე-  
რის-გებად გურიელსა ზედა. გერ წინა აღუდგა გურიელი, მოსტივე-  
გნისა და მოსწევა გურია და წარმოვიდა ალათითა და იაგარითა. ხო-  
ლო გინად გან კვალადცა მოუკრობდნენ დადიანი ლეგან და მეფე შა-  
ნათზ და შარიამ ჭევა ცოლად შანათზ მეფესა. ამის-თვის განახა-  
ლეს მხახლიანი და სთხოვა ლეგან დადიანისა ძე მისი მანუჩარ საქმ-  
იოდ ძალა თვისისა აჩილის ასულის დარეჯანისა-თუ. ამან ლეგან  
წარმოულინა ძე თვისი და მისრული მანუჩარ აქორწინეს დარეჯანი-  
სა-თანა. გარნა ურმა და ქალი იუწენენ წლისა ტ. ესე იხილა ბაგრატ  
მეფე-მან, რამეთუ არა კეთილიდა მისდა, აუწეა მსახურთა ურმისა-  
მანუჩარიათა. რამეთუ ჭებავს შინათზ მეფესა წარვლინებად მანუ-  
ჩარ წინაშე უენისა ტევედ: “ შეშინდნენ იგინი და არდა რა გამოი-  
კითხეს ზაკეა იგი, წარმოიპარეს ურმა იგი და მოგვარეს შემასა  
თვისსა. შემდგომად მოადგა ბაგრატ მეფე ქუთათისს, აღილო ციხე-

და გამოიყენოს ასმაფნი ქს. ჩქოდ, ქრ. ტებ. ამის-თჯს მოვიდა  
დესპანი ასლან ფაშის ახალ-ციხელისა და აღუთქვა მოცემა ალექსან-  
დრესი ძისა ბაგრატისა, რათა მისცეს ციხე ქუთათისისა მათვე.  
სოდაც ბაგრატ განზრახვითა იმერთათა მისცა ციხე ასმალთავე უოვ-  
დითა მათითა და დაიბურეს მათვე: შემდგრმად უშვა თამარ დედო-  
ფალ-მან ბაგრატს მუ გიორგი ქს. ჩქოდ, ქრ, ტებ და განიხარა  
ფრიად მეფე მან:

სოდაც უამებითა ამათ შინა იუც კირთება თდიშს აფხაზთა-გან,  
რამეთუ ვინად-გან განდიდნა ჭუთდინდელი ჩიქანი, რომელი კამოე-  
პარა გახტანგ მეფესა შელაფრიდამ, მოვიდა და დაიბურა ჭუთდინ-  
დლობავე და იქმნა მისანდო ლევან დადიანისა უოველისა შინა. ამან  
მრიუვანა ძმა თვისი გაცია და აზრასა ლევანს მიცემად სალიპარტია-  
ნისი, რამეთუ ამის-გან დაიბურას ლეჩხუმიცა ლევან დადიან-მან.  
ესე გაცი იუც გროვდელი მდაბალი აზნაური, რომლისა მამა სკონეთის  
ტვირთითა თვისითა ზიდვიდა თაფლისა და კამიაზრდებოდა და ესე  
გაცია ძმის ჭუთდინდელის-გამო განდიდნა და იქმნა ჰატია-ცემულ  
მეფეთა გან და ამის გამო უსმენდენ ლეჩხუმელნიცა, მერმე ლევან  
დადიან-შან მისცა სალიპარტიანს და იყისად მისანდობელ-ჭუთ  
ფრიად, რამეთუ იუც გაცი მხნე და შემდებელი საქმეთა. არამედ  
ულთა და შესისხლე, აზრასებდა დადიანისა და მოსრვიდან წარჩინე-  
ბულთა თდიშისათა სოდაც მივიდა რა არჩილ ახალ-ციხეს და გიორ-  
გი გურიელი ცა, რომელი მცდელობდენ გამეფებად იმერეთს თრ-  
ინივე. ესე ისილა ბაგრატ მეფე-მან, ეზრასა გიორგი გურიელისა და  
მისცა ასული თვისი დარევან ცოდნად, ნაშობი თამრისა გან, რათა  
დაუტეს ტრივიალებაცა თამარისა და მცდელობდა მეფობასა იმერე-  
თისა. მოვევანა გურიელი და აქორწინა ქს. ჩქოდ, ქრ. ტებ და  
მთიმტკიცა ამით გურიელი: სოდაც რა მოვიდა ახალ-ციხიდამ სუ-  
რამს, სურამიდამ ეზრასა იმერთა და მიერთნენ უოველი იმერნი  
არჩილს და დადიანი ლევან, გალანამცა მოიუვანეს და დასკას მეფედ  
ქუთათის ქს. ჩქოდ, ქრ. ტებ, სუკდემბერშო,

კვალად მეფე არჩილ, ა წელი ჰმეფა.

ხოლო ბაგრატ წარვიდა გურიას და დედოფალი თამარ დაშტა  
ციხესა სკანდას. მთადგა არჩილ მეფე, გამოიყვანა თამარ და მისცა  
დადანესავე ცოლად და მოიუვანა ძე დადანისა სიძე თქვი და ჰუვან-  
და თვის-თანა: მაშინ ბაგრატ შეწევნათა გურიელისათა ეჭვდრა ას-  
ჭან ფაშას და მან აღუთქვა შეწევნა: ამავე უამთა წარიპარა მეტე-მან  
გრიგორი-ძე ძაგრატ მეფისა. ალექსანდრე ასალ-ციხიდაშ და მოს-  
ანეს მონანი ალექსანდრესი: ესმა ბაგრატ მეფესა, შესწევნა, რა-  
შეთუ მომჯერდა იუთ ძე მისი გიორგი და არა ესვა ძე, რათა არა  
მოკლან იგიცა: მაშინ ასლან ფაშამ აუწეს ხანთქარსა უოველი ურ-  
ფილი, განრისხნა და წარმოავლინა აზრუმის ფაშა სესა აქეთი სპი-  
თა, მოსულეს ფაშას მიერება ბაგრატ მეფე და გურიელი: არმედ  
არჩილ მეფე მან შემოვრიბნა სრულიად იმერნი, შეითიცნა და და-  
მიდა ბრძოლასა. გარნა ჩამოვიდნენ აგიისტოსა შინა ასმალის იმე-  
რეთს, განევლტვენ არჩილ მეფესა და მიერთოდნენ ბაგრატს;  
ამისი მხილველი არჩილ მეფე წარვიდა რაჭას და რაჭელთა შეჭ-  
კეს მთა: მიჟუშენ ასმალი არჩილს. მაშინ ხევითის მთას  
ზედა უწევს რაჭელთა ცემა თოვთა ჯიხურებთ-გამო ასმალთა და  
მოჭელეს საზოვერელი ჩიჯაგაძე და სხვანი მრავალნი და უმეტეს  
ასმალი მოსწურილნეს. არმედ სიმრავლითა სძლეს ასმალთავე,  
გარდეიდნენ რაჭას, მოსწევნეს, მოსტუგევნენეს, უკმითეცნენ და და-  
დინენ კვახჭირს ხოლო არჩალ მივიღა კულბითს და აუწეს საქმი-  
თვისი უოველი აზრუმის ფაშასა. მაშინ აზრუმის ფაშამ მოჭევეთა  
თავი ასლან ფაშასა, მერმე მოსტუგევნენა და მოსრნა ურჩინ იმერეთს.  
და დასვა ბაგრატ მეფედ და წარვიდა თვით ქს. ჩქოთ, ქრ. ცხრტ

კვალად ბაგრატ მეფე დ, ბ წელი ჰმეფა.

ხოლო ბაგრატ მეფე-მან მიიმტკიცა იმერნი, შემოიკინიბნა და  
წარვიდა ადამის, ეწერ დადანი ჰეკან სპითა და ბრძოლასა იძლა-  
დადანი და წარგვარა კვალად ცოლად რეისი თამარ და შეირთო

